

დღგ-ის უკუდაბეგვრის ჩათვლის კორექტირება 1139

ფაქტობრივი გარემოებები

საწარმომ უკუდაბეგვრის დღგ-ის ჩათვლა განახორციელა დღგ-ის ბარათზე ასახული იმ თანხების შესაბამისად, რომელთა საგადახდო დავალებაში სიტყვიერად აღნიშნულია „დღგ საქართველოს ტერიტორიაზე არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურებიდან“, ხოლო მითითებულია საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურებიდან დღგ-ის თანხის სახაზინო კოდი.

შეფასება

სსკ-ის 173-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის დოკუმენტია უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში, მხოლოდ სახაზინო კოდის არასწორად მითითება დღგ-ის ჩათვლის გაუქმების საფუძველად არ უნდა ჩაითვალოს.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

➤ *სიტუაციური სახელმძღვანელო, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 1 მაისის №3581-III საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ვრცელდება 2015 წლის 1 ივლისამდე არსებულ საგადასახადო პერიოდებზე*